ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6883251

ნომერი: AR11013507

თარიღი : 06.02.2024

გაცემის თარიღი : 13.02.2024

გაცნობის თარიღი : 13.02.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბოჭორმას ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთი ახალკაცი პ/ნ 57001058180
- ხაშური ს. ალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2024 წლის 06 თებერვლის №AR11013507 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 06 თებერვალს №AR11013507 განცხადებით მომართა ქეთი ახალკაცმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 25

ოქტომბრის №6727552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 25 ოქტომბრის №6727552 ბრძანებით №01.17.13.041.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 25 ოქტომბრიდან 2024 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 ოქტომბრის №6727552 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობად 752.6 კვ.მ-ის ნაცვლად 598.80 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1534.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1688.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმებზე დაფიქსირებული საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი 599.1 კვ.მ არ ემთხვევა მოთხოვნის ტექსტში მითითებულ ამავე ფუნქციის ჯამურ მაჩვენებელს 598.80 კვ.მ-ს. შესაბამისად, საჭიროა საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობის დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღისვადაში დააზუსტოსმოთხოვნა საცხოვრებელიტიპის სასტუმროსაპარტამენტის დასაერთო ფართობთანდაკავშირებით.
2.ბრძანების პირველიპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2024 წლის 06 თებერვლის№AR11013507 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3.ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა№7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტისოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის